


რაგბი



ევროპის ერთა თასი




საქართველო

რუმინეთი

შაბათი, 12 მარტი, 2005 წელი

ეროვნული სტადიონი


დასაწყისი დღის სამ საათზე



მე-6 რაუნდი
ნოემ 2006

მე-5 რაუნდი
ოქტ 2006

მე-4 რაუნდი
სექტ 2006



გზამკვლევი

- ↑ პირდაპირ გადის
შემდეგ
რაუნდში
- ↖ ხელმოცარული
გადის
საშუალებო
რაუნდში
- ↗ ხდება ფინალში
ეგრ № -ად

ზ და ბ შინ და გარეთ

ზ + ბ ნაწილი შინ,
ნაწილი გარეთ

\$ “ ფინალში ხდება
რეპეშაჟის გაფლით

ერთა თასი (ვი) 2005-2006

2004	20 / 11 რუსეთი - საქართველო	15:27
	უკრაინა - ბორტუგალია	6:36
	27 / 11 ჩეხეთი - რუმინეთი	14:38
2005	5 / 02 ბორტუგალია - საქართველო	18:14
	26 / 02 საქართველო - უკრაინა	65: 0
	რუმინეთი - რუსეთი	33:10
	ბორტუგალია - ჩეხეთი	19:13

12 / 03 საქართველო - რუმინეთი
ჩეხეთი - უკრაინა

19 / 03 რუმინეთი - უკრაინა
ჩეხეთი - რუსეთი

4 / 06 რუსეთი - ბორტუგალია

11 / 06 საქართველო - ჩეხეთი
რუმინეთი - ბორტუგალია
რუსეთი - უკრაინა

მეორე წრე: 2005 წლის შემოდგომიდან 2006 წლის ინისამდე



დრო იყო, გრანდებს სრავდა „სტეუარი“

XXI საუკუნეში აგერ უკვე მეოთხედაც გვეწვია რუმინეთის რაგბის ნაკრები, მეტსახელად „სტეუარი“ (მუხის ფოთლები), რათა „ერთა თასის“ ქულების გარდა, გარდამავალ, სამეზობლო „ანთიმოზ ივე-რიელის თასსაც“ შეგვეცილოს.

რუმინეთი მთლად ზელანდიასავით სარაგბო ჰელიანა გერაა, მაგრამ იქაურ რაგბის თემს საამაყო მაინც საკმაოდ აქვს. დრო იყო, კარ-პატელები ტოლს არ უდებდნენ ბობოლებს, მაგრამ მერე და მერე ფეხი ვეღარ აუწყვეს თამაშის განვითარებას და დღესდღეობით „ერთა თასზედა“ ასპარეზობენ.

კარპატულმა რაგბმა დღევანდელობამდე გრძელი გზა გამოიარა. თამაში „ბოიარულ“ რუმინეთში ჯერ კიდევ 1911 წელს დაინერგა. ბირველი მერცხლები საფრანგეთში ნასტუდენტალი ახალგაზრდები იყვნენ.

1914 წელს დაარსდა რაგბის ფედერაცია და მაშინვე დაიწყო ეროვნული ბირველობების გამართვა. შეჯიბრი მეორე მსოფლიო ომმაც გრი შეაფერხა. ამად რუმინელ მორაგბეებს ეამაყებათ, რომ თანამემამულე ფეხბურთელებზე მეტი შინაური პირველობა აქვთ ჩატარებული.

1924 წელს რუმინეთი პარიზის ოლიმპიადაზე წარსდგა და საარაკო ანგარიშებით დამარცხდა ამერიკასა და საფრანგეთთან, 0:37 და 3:6. ერთი კია, მორაგბეებმა სამშობლოს ბირ-

გელი ოლიმპიური ჯილდო, ბრინჯაოს მედალი მოუპოვეს, რაკი შეჯიბრში სამად სამი გუნდი მონაწილეობდა.

რუმინული რაგბის კურიოზები ამით არ ამოიწურება. გაგანია ოში, 1944 წელს, გენერალ ანტონესკუს დამხობის წინა დღით, ეროვნულმა ფოსტამ გამოუშვა მარკა, რომელიც რაგბის ფედერაციის 30 წლისთაგს მიეძღვნა. ექსპერტები ამტკიცებენ, ეს მოელს მსოფლიოში ბირველი (!) სარაგბო მარკააო.

1957 წელს, ბუქარესტის სტადიონზე, რუმინეთისა და საფრანგეთის მატჩის საცენტრლად 110 ათასი ქომაგი შეგროვდა. ესოდენი ხალხმრავლობა ჯერაც რაგბზე დასწრების მსოფლიო რეკორდია, მაგრამ უფრო საგულისხმო ისაა, რომ იმ მაყურებელთა უმეტესობას თვალურ ბურთა თამაში მანამდე არასოდეს ენახა, სტადიონზე კი საერთაშორისო მატჩის შემდეგ გასამართი, ფეხბურთის შინაური ბირველობის მატჩის საჭვრეტად მისულიყო.

ქართველებისა არ იყოს, რუმინელი მორაგბეებიც ყოველთვის ფრიადი ენთუზიასტები იყ-

ვნენ. 1960-იან წლებამდე ისინი საერთაშორისო იზოლაციაში იკრებდნენ ძალას: ეთამაშებოდნენ მხოლოდ ჩეხეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას (ბრძოლა). მერე კარბატელებს თავი იტალიამ და საფრანგეთმაც გაუყადოეს.

1960 წელს რუმინეთმა პირველად ძლია საფრანგეთი 11:5. ეს იმ ხანად მოხდა, როცა „მამლებს“ ზედიზედ ხუთი სეზონის განმავლობაში გერმენიდა თვით რაგბის სამშობლო, ინგლისი.

ბრიტებს კარპატელებმა 70-იანი წლებიდან შეაჩინეს ხელი, ნაკრებთა დონეზე კი პირველი დიდი გამარჯვება 1983 წელს მოიპოვეს: უკლისი ბუქარესტში 6:24 განადგურდა. მანამდე, 1980 წელს, იქვე 0:15 წააგო საფრანგეთმა, გინც რამდენიმე თვეში „ხუთი ერთ“ „დიდი სლემით“ (100-პროცენტიანი შედეგი!) მოიგო.

ამავე ბერიოდში, 1981 წელს, ბუქარესტში შეიარა ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსმაც“, მაგრამ არ დამარცხებულა: მოკრძალებულად, 14:6 გაიმარჯვა და თან ბრიტება მსაჯმა მასბინძლებს ჯგუფური ლელო არ ჩაუთვალია.

ის ეპოქა სამართლიანად მიიჩნევა რუმინული რაგბის ოქროს ხანად. ფრანგთა წარდგინებით ბრიტებმა მაშინ ფიქრი დაიწყეს რუმინეთის „ხუთ ერთი“ ჩართვაზე, მაგრამ გეთილ-შობილთა ამქარმა ბოლოს მაინც უარი უთხრა გამგაღტყავებულ კომუნისტურ ქვეყნას.

მერე დაღმასგლა დაიწყო. ის სულ ბოლო დრომდე გაგრძელდა და 2001 წლის ნოემბერში კატასტროფულად დასრულდა: რუმინეთმა თვითვემში 0:134 წააგო მსოფლიოს მომავალ ჩემპიონ ინგლისთან, ორი თვით ადრე კი იმხანად უკბილო უელსთანაც 9:81 მოეჭრა თავი.

ამის მიზეზი ძაან ღრმად საძიებელი როდია. ჩაუშესკუს დიქტატურამ ერთ მოლად გაამათხოვრა, მშიერ-მწყურვალთა ნათამაშევი დიდი რაგბი კი ჯერ არსად გაგონილა. მერე ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკამ დაიწყო ფეხის მოკიდება და მანამდე სახელმწიფოსგან ნასაზრდოები სამხედროთა, ბოლიციელთა, რკინიგზის მუშათა და სტუდენტთა გუნდები მოლად უსახსროდ დარჩენ.

„მუნის ფოთლებმა“ დიქტატურის ხანაშივე დაიწყეს საზარლიად წაგება: თუ ირლანდიას 1980 წელს დუბლინში ფრედ, 13:13 დაუმთავ-



რეს ტესტი, ექვსი წლის თავზე იქვე ანგარიში 0:60 იყო.

ამასობაში ოდითგან კონსერვატულმა რაგბმა მსოფლიო თასი დაიწესა. სიახლეებ რუმინეთს ცუდ დროს მოუსწრო. რომის იმპერიის ხანიდან აღმოსავლეთში ჩარჩენილი ლათინები ბულს ერთხელაც გერმანიური და ხუთ შეჯიბრში გამართული 16 მატჩიდან მხოლოდ ოთხი მოიგეს, ძლიერს რა ზიმბაბვე, ფიჯი, ამერიკა და ნამიბია.

გაჭირვებულ რუმინეთს მსოფლიოს სარაგბო ოჯახი ბევრჯერ დაეხმარა. აი ახლაც, 2005-2007 წლებში, საერთაშორისო საბჭო (ირბ) კარპატელთათვის ბარეშ მიღიონი (!) გირგანქის ჩუქებას ფიქრობს, რადგან მესამე დონეზე გამწესებული საქართველოსგან განსხვავებით, სარაგბო ტრადიციისა და პოტენციალის წყალობით, რუმინეთი მეორე დონის ქვეყანად მიაჩინა.

მერე კიდევ, ირბ-ის მიერ ხელდასხმული ალღოიანი ხალხი ბრიტანეთის სკოლებში ნახმარ, მაგრამ ჯერაც გარგის საბურთაო აღჭურვილობას კრებს და კონტენინერებით აგზავნის აღმოსავლეთ ეგრძობაში. ამ მოძრაობას თავდაბირველ სამიზნედ რუმინეთი ჰქონდა მაგრამ მერე ჩვენც მოგვწედა.

„სტეუარს“, ჩვენგან განსხვავებით, ყოველ წელს „ექვსი ერთს“ თითო ქვეყნასთან ერგება ტესტი. ერთი სიტყვით, ბობოლა ქვეყნების საძმოს რუმინეთი თავის სისხლად და ხორცად მიაჩინა, მაშინ როცა „ერთა თასის“ დანარჩენ მონაწილეებს აქამდე ამრეზით უყურებს.

თასი სამეზობლო, ანთიმოზ ივერიელისა

დღეს საქართველო და რუმინეთი „ერთა თასის“ ქულებისთვის ხომ რაგბობენ და გარდამაყალი თასისთვისაც ერკინებიან ერთმანეთს. ამ ჯილდოს დაწესება საქართველოს „რაგბის მეოთხა ლიგამ“ (რმლ) ჯერ კიდევ 2001 წელს მოიაზრა და საქმეს თაგი შემდეგ სეზონშივე დაადგა. ცნობილმა მოქანდაკემ და გეტერანმა მორაგბემ, გია ჯაფარიძემ ჯილდო ბრინჯაოში ჩამოასხა და მოაქრიოგა.

თასი ანთიმოზ ივერიელის სახელობისაა. XVII – XVIII საუკუნეების ეს დიდი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე და განმანათლებელი ქართველებსა და რუმინელებს სულიერად დღემდე გვაახლოებს. ტოშით ქართველმა ვლახეთის მიტროპოლიტმა რუმინელთა ერად ჩამოყალიბებას შეუწონელი ამაგი დადო:

დფთის მსახურება სლავურიდან დედა ენაზე მიუქცია, სასტამბო მოღვაწეობის გაშლით კი სრულიად აღმოსავლეთი ეგრობა და მცირე აზია გაანათლა. მანვე დააწევებინა წიგნის ბეჭდვა ტფილისში და ქართული სახარებაც გამოაცემინა, თუმცა თავმდაბლობის გამო, საბუთარი დფაწლის წარმოჩნებას ერიდებოდა.

„ანთიმოზის ივერიელის თასი“ სხვა ტრადიციული, სამეზობლო ჯილდოების ანალოგია. ინგლისი და შოტლანდია 1878 წლიდან ერთურთს ეცილებიან „გალგუტის თასეს“, ზელანდია და აგსტრიალია 1932 წლიდან „ბლედისლოუს თასწე“ ბაექრობენ.

ამათი მსგავსია ჩვენი თასიც: ჯილდო თამაშება ყოველთვის, როცა საქართველოსა და რუმინეთის კაცთა ნაკრებები ერთი მეორეს ერაგბებიან. მობის წეს-კანონით გამონაკლისია მხოლოდ მსოფლიო თასის ფინანსური და შესარჩევი სტადიები. მოცილემ მფლობელს თასი რომ აართვას, ამისთვის მატჩი უნდა მოუგოს, ფრეზე კი ჯილდო მფლობელს რჩება და დამატებითი დრო არ ინიშნება.



რუმინეთის „სტეუარი“

29-გაცა სათბილისთ რაზმი

ფულბეგი (15): დენუც დუმბრავე (სტიაუა), ვლად დანი (მეტროლეგ-სი)

გარემარბები (14 11): იოან ტეოდორესტუ (კლუეი), ვასილე გიორგი (დინამო), პრისტიან სეუანი (როგიგო 0ტ), სტეფან დუმიტრუ (სტიაუა)

შუამარბები (13 12): რომეო გონტინიაგი (ორიაგი სტრ), ვალენტინ მაფტეი (ორიაგი სტრ), ვაბრიელ ბრეზოიანუ (დაგსი სტრ)

ბიგოტი (10): იონუც ტოფანი (მეტრო რასინგი სტრ), დარიე კურია (სტიაუა)

პაგბეგი (9): ლუჩიან სირბუ (მეტრო რასინგი სტრ), იულიან ანდრეი (სტიაუა), ვალენტინ პალაფეტიანუ (დინამო)

ბურჯები (1 3): ბეტრუ ბელანი (ბიარიცი სტრ), იონ ბაულიებე (სტიაუა), ჩეზარ ბობესკუ (ტარბი სტრ), მარჩელ სოკაჩუ (როგიგო 0ტ), ბოგდან ბელანი (ბორდო სტრ)

ბერაჭი (2): მარიუს ტინკუ (ბო სტრ), რეზგან მაგროდინი (ტარბი სტრ), ბოგდან ზებეგა (სტიაუა)

მეორე ხაზი (4 5): სორინ სოკოლი (აფენი სტრ), ჯორჯე ომრიშმორი (ბერბინიანი სტრ), „ბეტრუ კრისტიანი“ (ტარბი სტრ), ფლორინ ცატუ (სტიაუა)

მესამე ხაზი (6 7 8): კოსტიკე მერსო (ბერიგო სტრ), ფლორინ კოროდიანუ (გრენობლი სტრ), მარიან ტუდორი (ბერიგო სტრ)

ტექნიკური დირექტორი: რობერ ანტონენი სტრ; მთავარი მწვრთნელი: დანიელ სანტამონი სტრ; მწვრთნელი: ვირჯილ ნესტასე

„ლეონსიომ“ რომ წამოიკიდა



საქართველო და რუმინეთი აქამდე ექვსჯერ შებმულან: იმათ მოიგეს ხუთი, ჩვენ კი ერთადერთი. როცაკი, ანუ პირველ ოთხ ჯერზე, იმათ 9 ნომრად პეტრე მიტუ ეყენათ, ყოველთვის გაიმარჯვეს.

1998 წელს რუმინეთმა მსოფლიო თასის-კენ მიმაგალი გზა დუბლინში გაგვიმრუდა, 2000 და 2002 წლებში თბილისიდან „ერთა თასი“ წაიღო, შარშანწინ ხელს „ანთო-მოზ ივერიელის თასიც“ გააყოლა და მერე, შარშან, იგი იაშში შეინარჩუნა. სამაგიეროდ, „ერთა თასი“ „ლეონსიოს რაზმა“ ქართული რაგბის ზეობის ხანაში, 2001 წელს, „სტიაუას“ სპორტული ცენტრიდან შინ წამოიღო.

ლამის ყველა მატჩს საერთო ის ჰქონდა, რომ ჩვენი ფორვარდები ძაან იბრივებდნენ იმათსას, მაგრამ „სტეუარი“ ბეჭედით გვაბითურებდა. მაგათ ძაან ეხერხებოთ და ახლაც უყვართ დაცვის მწყობრს უკან ბურთის ფეხით შეცურება და მერე ჩვენი, გაუწაფავი უკანა ბეჭედისთვის ზურგში ბიძგება.

ამაზე გითომც ნეიტრალური, მაგრამ სინამდვილეში რუმინეთის მოკეთე, ლათინი მსაჯები ჩვეულებრივ თვალს ხუჭავდნენ და მეტოქეც არამად გვალელოებდა. მერე ჩვენ დიდ ჯანს შევალევდით ხოლმე იმათ წამოწევას, მაგრამ სულ ბოლოს, გადამწყვეტ მომენტში სიქა გაგვიწყდებოდა, სპორტულ აფერისტობაში გაწაფული სტუმრები კი დროს მარჯვედ გაიყვანდნენ.

რუმინელებს გადასარევად ყოჩობდა მიტუ. იგი ჩვენებს კუთხეში ზედიზედ ურტყამდა ბურთს და ომით მოპოვებულ ბოზიციას უბათილებდა. ფრანგი გურუს, კლოდ სორელის მიერ დაკვალიანებული კაგბასიელები ხან ყარაჩოხლურ რაგბს გააჩაღებდნენ, მოედნის საკუთარი შეოთხედიდან ხელდახელ უტევდნენ და ბურთს მეტოქეს აბარებდნენ და ხანაც თავიდანგე ზეანგარიშიანი რაგბის თამაშს ცდილობდნენ, ანუ შეტევაზე ნებით იტყოდნენ უარს და „სტეუარის“ შეცდომებს ამაოდ უდარაჯებდნენ.

გამონაკლისი სულ ერთხელ მოხდა. ანგარიში თანაბარი რომ იყო, კისერი იტკინა ჩვენმა ლეგან ცაბაძემ, მაგრამ მაინც დაუბრუნდა მოედანს. ამასობაში „სტეუარის“ მწითური ბეტრუ ბელანი გაუსინბინეს და ვიდრე ბურჯ-ნაკლული გვერაგბებოდა, ქართველებმა წყვილი ლელო გავუტანეთ.

მათგან გადამწყვეტი „ლეონსიოს“ ანგარიშზეა. „ბორჯლალოსანთა“ ლეგენდარულმა კაბიტანმა ბურთი ლელოდან 15 მეტრში მიღლო და ისე, რომ სამი მეტოქე ზედ ეკიდა, მიზანს უწია.

დროული და უტყუარი სარაგბო ინფორმაცია

ყოველდღიური
სპორტული გაზეთი



მსოფლიო რაგბის საითი

www.geocities.com/DidiRagbi

რაგბის კავშირის საითი

www.GeorgianLelos.com

აქამდელი შერგინებანი

1998 წლის 18 ნოემბერი
რუმინეთი 27:23 საქართველო

რუმ - ვლ: გიორიანუ, ბრეზოიანუ, მიტუ; ვბ,
2ს: მიტუ

საქ: ურჯუკაშვილი, ქაფთარაშვილი, ჯიმშელაძე,
ხამაშურიძე, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე
(ტეფნაძე), გიორგელიძე (ჯანელიძე) / მთი-
ულიშვილი (შველიძე), გიორგაძე, ცაბაძე; რა-
ფაგა, მჭედლიშვილი ბაბ; ზ. ლეუავა (კაცაძე),
ლაბაძე, კ. კობახიძე (ნადირაძე) - 2ლ: ცაბაძე,
ქაფთარაშვილი; 2ბ: ურჯუკაშვილი; 3ს: მაჩი-
ტიძე, ურჯუკაშვილი 2

მსაჯი გაბლანი (აფრიკა). დუბლინი - 3:6 /
10:6 17:6(45) 17:13 17:16(72) 24:16 27:16 27:23

2000 წლის 2 აპრილი
საქართველო 20:23 რუმინეთი

საქ: ხეხელაშვილი (იურინი 55), ხამაშური-
ძე, ანდლულაძე სბ 36, კაცაძე, ქაფთარაშვილი;
ჯიმშელაძე, აბუსერიძე (ჯანელიძე 55) / შვე-
ლიძე, გიორგაძე, ცაბაძე სბ 72; ნადირაძე,
მჭედლიშვილი ბაბ; გართანიანი (ბუგიანიშვი-
ლი 36-45, ნიკოლაენკო 72), ლაბაძე (ბოლდაშ-
ვილი 57), ზედგინიძე - 2ლ: ქაფთარაშვილი,
ნადირაძე; 2ბ, 2ს: ჯიმშელაძე

რუმინეთი - 2ლ: სირბუ, ბრეზოიანუ; 2ბ, 2ს:
მიტუ; პ: ტოფანი

მსაჯი ბრიუგო (საფრანგეთი). ეროვნული (35
ათასი) - 3:0(3) 3:3(5) 6:3(9) 6:6(20) 6:13(40) /
6:20(45) 13:20(53) 13:23(68) 20:23(80)

2001 წლის 7 აპრილი
რუმინეთი 20:31 საქართველო

რუმ - ვლ: გიორი, კოროდიანუ 2; პ: ჩოლაკუ;
პ: გონტინიაკი / სბ: პ. ბელანი

საქ: ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბა-
ძე, კაცაძე, აბაშიძე (ხეხელაშვილი); ჯიმშე-
ლაძე, აბუსერიძე / მთიულიშვილი (ნიკოლა-
ენკო), გიორგაძე სბ, ცაბაძე ბაბ (რატიანიძე
ღრ); ნადირაძე, დიდებულიძე (ჯანელიძე);
ბოლდაშვილი, იაშვილი (მჭედლიშვილი),
ზედგინიძე - 3ლ: აბუსერიძე, ბოლდაშვილი,
ცაბაძე; 2ბ: ჯიმშელაძე; 4ს: ჯიმშელაძე 3,
ურჯუკაშვილი

მსაჯი დარტიუაზი (საფრანგეთი). გენჩა (2
ათასი) - 3:0(3) 3:3(24) 3:10(32) 3:13(40) / 8:13(49)
13:13(54) 13:16(61) 13:23(66) 13:28(72) 20:28(77) 20:31(79)

2002 წლის 6 აპრილი
საქართველო 23:31 რუმინეთი

საქ: ხამაშურიძე, ხეხელაშვილი (მაჩინელი
41), ზიბზიბაძე, ალანია, ურჯუკაშვილი; იო-
გაძე (კვინინიძე 41), შ. მოდებაძე (აბუსერიძე
41) / მთიულიშვილი (რატიანიძე 41), გიორ-
გაძე, ცაბაძე ბაბ; ნადირაძე, დიდებულიძე (ჯა-
ნელიძე 77); კაცაძე (ურუშაძე 68), ლაბაძე, მაგ-
რაქელიძე (ჩხაიძე 68) - 2ლ: ურჯუკაშვილი,
ჩხაიძე; 2ბ, 3ს: ურჯუკაშვილი

რუმ - ვლ: სეუანი, ტინკუ, ბრეზოიანუ; 2ბ,
3ს, პ: ტოფანი / სბ: ტ. კონსტანტინი 46

მსაჯი მორანდინი (იტალია). ეროვნული (45
ათასი) - 0:5(13) 0:8(16) 0:15(18) 3:15(24) 3:18(26) 6:18(28) 6:21(30) 6:28(36) / 6:31(43) 9:31(50) 16:31(58)
23:31(74) ბოლო (80“3)

2003 წლის 30 მარტი
საქართველო 6:19 რუმინეთი

საქ: ხეხელაშვილი (ხამაშურიძე 53), ურჯუ-
კაშვილი, ზიბზიბაძე, ი.გიორგაძე, კაცაძე; ჯიმ-
შელაძე, აბუსერიძე / შველიძე, ა.გიორგაძე,
რატიანიძე სბ 17 (მთიულიშვილი 56); მჭედ-
ლიშვილი, ნადირაძე (დიდებულიძე 56); ლა-
ბაძე (ბოლდაშვილი 73), იაშვილი, ზედგინიძე
ბაბ - 2ს: ჯიმშელაძე

რუმინეთი - ვლ: ბრეზოიანუ, გონტინიაკი,
მაფტე; 2ბ: ტოფანი

მსაჯი უე (საფრანგეთი). ეროვნული (40
ათასი) - 3:0(4) 6:0(21) 6:7(40“5) / 6:12(51) 6:19(72)
ბოლო (80“5)

2004 წლის 27 მარტი
რუმინეთი 25:18 საქართველო

რუმ - 2ლ: სირბუ, ტუდორი; 5ს: დუმბრავე
2, ტოფანი 3

საქ: ბარკალაია, ანდლულაძე სბ 76, ზიბზი-
ბაძე, ფირფილაშვილი, შეინინი; კვინინიძე, კვი-
რიკაშვილი (სამხარაძე) / კუთარაშვილი (მთი-
ულიშვილი), დადუნაშვილი, ესაკია (ჭავჭავა-
ძე); ზედგინიძე ბაბ (ურენტი ღრ), გორგოძე;
ი.მაისერაძე (ბაბაშვილი), უდესიანი, ჩხაიძე
(ჯაველიძე) - 2ლ: გორგოძე, კვინინიძე; ბ, 2ს:
კვინინიძე

მსაჯი მანჩინი (იტალია). იაში - 3:0(3) 6:0(14)
6:3(23) 6:10(26) 6:13(30) 11:13(40) / 11:18(48) 14:18(52)
17:18(67) 20:18(75) 25:18(77)



საქართველოს ბორჯდალოსნები

ბეპები (უკანა ხაზი) ⚭ ქულა

უკან (15, 11, 14 „ 22)

.. ოთარ ბარკალაძე	ლელო	21	10	28	16	18	10
.. ირაკლი მაჩხანელი	აგადემია	24	13	25			10
.. მახო ურჯუგაშვილი	აგადემია	25	37	95	228	286	18
.. ზეგიად კობერიძე	ლოკომოტივი	25	1				0

შუაში (13, 12 „ 21)

.. თედო ზიბზიბაძე	გურდონი სზრ	25	35	85			40
.. ირაკლი გიორგაძე	ბურგუენი სზრ	23	12				0
.. ლაშა ფირფილაშვილი	ლელო	22	6				0

ბიგოტი (10)

.. პალიკო ჯიმშელაძე	ბობინი სზრ	30	43	75	468	396	38	253
---------------------	------------	----	----	----	-----	-----	----	-----

ჰაგბეგი (9 „ 20)

.. ირაკლი აბუსერიძე	ორლეანი სზრ	28	28	45			20
.. ბიძინა სამხარაძე	გოლსოლი 068	22	6				0

ფორგარდები (შერგინება)

ბირფელი ხაზი (1, 2, 3 „ 16, 17)

.. მამუკა მაგრაქველიძე	მონბელიე სზრ	28	8				0
.. აქესენტი გიორგაძე	როვიგო 051	29	37	85			40
.. დავით ზერაქაშვილი	კლერმონი სზრ	22	4	15			5
.. მიხეილ სუჯაშვილი	ლელო	28	4				0
.. ავთო კოპალიანი	შალონი სზრ	23	5	15			5

მეორე ხაზი (4, 5 „ 18)

.. ილია ზედგინიძე პაპ	ორლეანი სზრ	28	34	115	(18 პაპ)		55
.. მამუკა გორგოძე	ლელო	20	12	35			15
.. ლევან დათუნაშვილი	გიერზონი სზრ	22	3				0

მესამე ხაზი (6, 7, 8 „ 19)

.. რატი ურუშაძე	ენისეი რშს	30	7	25			10
.. გია ლაბაძე	ტულონი სზრ	32	36	75	(1 პაპ)		35
.. ბესო უდესიანი	შალონი სზრ	26	10				0
.. ზეგიად მაისურაძე	გოლსოლი 068	25	7	15			5

მოგ: მაღნაზ ჭეიშვილი, დავით ჩაგლეიშვილი, ბაატა ნარიმანაშვილი